ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 41

ქალაქი ქუთაისი 26 ნოემბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის 8^2 ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 2^2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, 2025 წლის 26 ნოემბერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-3 სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში განხორციელებული ცვლილების, კერძოდ, ამ კომისიის შემადგენლობიდან, როგორც ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ წარდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მიხეილ გიორგაძის გამოყვანის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: ლანა ჩიტიძისა და თამთა ბაკურაძის წარდგენის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის“ მიერ, აღნიშნულ კომისიაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მიხეილ გიორგაძის წარდგენის გამო, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“. აღნიშნულის საფუძველზე:

მუხლი 1. შეიცვალოს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა** კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №17 განკარგულების პირველი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია** შედგება საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. **ჩიხლაძე მანანა,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
2. **ჯიშკარიანი შოთა,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
3. **კოსტავა მაგდა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 41
26 11 2025 წ.

4. **მხეიძე დიმიტრი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

5. **სარალიძე სალომე**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

6. **ჩიტიძე ლანა,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

7. **ბაკურაძე თამთა,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

8. **გიორგაძე მიხეილი,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის“ მიერ;

9. **არჩაია ელეონორა,** რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჭიღვარია